IFC International Finance Corporation
World Bank Group

სურსათის ეტიკეტირება

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები

ბორის ჯანჯალია

27 ინავარი 2011 წელი

BMF
BUNDESMINISTERIUM FÜR FINANZEN

განსახილველი თემები

- საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ
- სხვა კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები
- **ასევე ბოლო ცვლილებები კანონმდებლობაში**

პასუხისმგებლობა ნორმების შესრულებაზე

მწარმოებელი/დისტრიბუტორი თავისი საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს და რეგულარულად შეამოწმოს სურსათის ან ცხოველის საკვების შესაბამისობა ამ კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან

საქართველოს კანონი
სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ
(მუხლი 15.1)

საქართველოს კანონი
სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ
(მუხლი 3”უ”)

ეტიკეტი - სურსათთან დაკავშირებული ნებისმიერი სიტყვა, ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო განთავსებული შეფუთვაზე, იარლიყზე, სურსათს თანდართულ ან მასთან დაკავშირებულ დოკუმენტზე, შენიშვნაზე, იარლიყზე, საყელურზე ან ბეჭედზე;

მუხლი 19. სურსათის ეტიკეტირების წესი

1. სურსათის ეტიკეტირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირებასთან ერთად აგრეთვე ვრცელდება:

   ა) სურსათის წარდგენაზე, განსაკუთრებით, მისი ფორმის, შეფუთვის გარეგნული სახის, გამოყენებული შესაფუთი მასალის, ფორმისა და გარეგნულ ნიშანზე;

   ბ) რეკლამაზე.

3. აკრძალულია სურსათის ისეთი სახით ეტიკეტირება ან ეტიკეტირების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი შემდეგ მახასიათებლებთან დაკავშირებით:

ა) სურსათის თვისებების, განსაკუთრებით მისი ბუნების, იდენტურობის, შემადგენლობის, მოცულობის, ვარგისიანობის ვადისა და წარმოებისა თუ მომზადების მეთოდის არასწორი დახასიათება;

ბ) სურსათისთვის იმ ეფექტისა თუ თვისებების მიწერა, რომლებიც სინამდვილეში მას არ გააჩნია;

გ) მომხმარებლის დარწმუნება იმაში, რომ კონკრეტულ სასურსათო პროდუქტს გააჩნია განსაკუთრებული თვისებები, მაშინ როდესაც იგივე თვისებები გააჩნია სხვა მსგავს სურსათსაც.

4. შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დამატებით შეიძლება დადგინდეს:

ა) დაფასოებული სურსათის ეტიკეტზე გარკვეული სახის ინფორმაციის დატანის აუცილებლობა, აგრეთვე დაუფასოებელი სურსათის შემთხვევაში ასეთი სახის ინფორმაციის სხვა საშუალებით მიწოდება;

ბ) სურსათთან დაკავშირებული სპეციფიური ან გარკვეული ტიპის განცხადებების აკრძალვა.

საქართველოს კანონი
მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

მუხლი 6. ინფორმაცია პროდუქციის შესახებ

- მწარმოებლის/გამყიდველის ვალდებულება სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე;
- მოთხოვნები ინფორმაციისადმი;
- ინფორმაცია ქართულ ენაზე (არ გამორიცხვას ასევე სხვა ენაზე ინფორმაციის მიწოდებას);
- უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა (მათ შორის ექსპორტის მიზნებისათვის), ვიდრე ეს კანონითაა მოთხოვნილი;
- **განსაკუთრებული მოთხოვნები რძის პროდუცქიის მიმართ**

- 2[1]. რძის პროდუქტების (რძე, მაწონი, არაჟანი, ხაჭო, ყველეული (ხაჭოს კვერი), იოგურტის ჯგუფის პროდუქტები) მწარმოებელი ან/და იმპორტიორი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოო ნედლეულად საღი რძის (უმი რძის) ან/და მშრალი რძის (რძის ფხვნილის) გამოყენების შესახებ, პროდუქტის საცალო შეფუთვის ეფექტიან ფართობზე, პროდუქტის დასახელების ან/და დამამზადებელი ბრენდის აღმნიშვნელი მთავარი წარწერის ახლოს, მსხვილი, მკაფიო, კონტრასტული, ადვილად აღქმადი შრიფტით შესრულებული შესაბამისი წარწერის დატანით: „დამზადებულია ნატურალური რძისგან“, „დამზადებულია რძის ფხვნილის გამოყენებით“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის ბრძანება #2-231 “სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”

მოთხოვნები სურსათის ეტიკეტისადმი

- ინფორმაცია მომხმარებლისთვის უნდა იყოს სრული, გასაგები, შესამჩნევი და ადვილად წასაკითხი;
- წერილობითი, ბეჭდური ან გრაფიკული გამოსახულების განთავსების დაშვება;
- სურსათის "შემადგენლობა";
- ინფორმაცია ქართულ ენაზე;

გამონაკლისი - სურსათის მცირე ზომის დაფასოებული ერთეულისათვის, რომლის ზედაპირის ფართობი 10 სმ^2-ზე ნაკლებია, არ არის სავალდებულო ეტიკეტზე პარტიის, ინგრედიენტების ჩამონათვალის, შენახვის ვადისა და გამოყენების ინსტრუქციის შესახებ ინფორმაციის განთავსება

სურსათის ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია

- სურსათის დასახელება;
- ინგრედიენტების ჩამონათვალი;
- სურსათის რაოდენობრივი წარდგენა;
- სურსათის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის, დამფასოებლის, დისტრიბუტორის, იმპორტიორის ან ექსპორტიორის დასახელების, მისამართის და პარტიის აღნიშნვა;
- თარიღის აღნიშვნა და ინსტრუქციები

ინგრედიენტების ჩამონათვალი

- ყველაზე მეტი მოცულობის მქონე ინგრედიენტით დაწყება და კლებადობის მიხედვით გაგრძელება;
- შედგენილი ინგრედიენტის შემცველობის შემთხვევაში - მათი მითითება დასახელებით და შემადგენლობა მასის კლების მიხედვით;
- თუ ინგრედიენტი ანიჭებს სურსათს სპეციფიკურ თვისებებს - მისი საწყისი რაოდენობის მითითება

ინგრედიენტი - სურსათის წარმოებისათვის ნებადართული ნებისმიერი ნივთიერება, სასურსათო ნედლეული ან პროდუქტი, რომელიც გამოიყენება სურსათის წარმოებაში და მზა სასურსათო პროდუქტში რჩება საწყისი ან შეცვლილი ფორმით

ინგრედიენტების ჩამონათვალი

- შემცველობაში წყლის არსებობისას აუცილებელია ამის აღნიშვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წყალი შედგენილი ინგრედიენტის კომპონენტია და ეს კომპონენტი აღნიშნულია შემადგენლობაში;

- კონცენტრირებული და დეჰიდრირებული სურსათის შემთხვევაში, თუ წყლის დამატება იწვევს თავდაპირველი კონცენტრაციის ან სინესტის აღდგენას - აღდგენილ სურსათში ინგრედიენტის (ბის) მითითება

ინგრედიენტების ჩამონათვალი

- თუ სურსათი შეიცავს FAO(სსო) და WHO (ჯმო)-ს გაერთიანებული კომიტეტის მიერ დადგენილ ჰიპერმგრძნობელობის (ალერგიული რეაქციების) გამომწვევ სასურსათო ნედლეულს ან ინგრედიენტებს, სავალდებულოა "შემადგენლობაში" მათი მითითება, ...

  ასევე, ასპარტამისა და მისი მარილების (ფენილალანინისა და მისი მარილების) შემცველობის მითითება, რომლის დროსაც დამატებით სურსათის შემადგენლობის შემდეგ უნდა იყოს მინიშნებული ინფორმაცია: "უკუჩვენება - ფენილკეტონურია"

ინგრედიენტების ჩამონათვალი

- თუ სურსათში გამოყენებული იქნება საკვებდანამატი, სავალდებულოა მისი “შემადგენლობაში” მითითება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს “საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N311/ნ ბრძანებას

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N311/ნ ბრძანება "საკვებდანამატების გამოყენების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ"

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის ბრძანება #2-231 “სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”

ინგრედიენტების ჩამონათვალი

- სურსათში საკვებდანამატების ტექნოლოგიური მიზნით გამოყენების შემთხვევაში - გამოყენების მიზნის მითითება;
- სურსათში არომატიზატორის გამოყენების შემთხვევაში - მათი ტიპის მითითება (ბუნებრივი, ხელვნური ან ბუნებრივის იდენტური);
- არ არის აუცილებელი არომატიზატორის დასახელების მითითება

სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

- ნებადართულია ინგრედიენტების დასახელება შეიცვალოს სპეციფიური დასახელებით სპეციალური დანართის შესაბამისად;

- იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათის წარმოებაში გამოყენებულია ღორის ხორცის ცხიმი, ღორის ქონი ან საქონლის ხორცის ცხიმი, აუცილებელია ეტიკეტზე "შემადგენლობაში" შესაბამისი კონკრეტული დასახელების მითითება

N	ინგრედიენტები		სპეციფიური დასახელება
ა)	რაფინირებული ცხიმები, გარდა ზეითუნის ზეთისა	-	"ცხიმი" მითითებით "მცენარეული" ან "ცხოველური", "ჰიდროგენიზებული" ან "ნაწილობრივ ჰიდროგენიზებული"
ბ)	სახამებელი, გარდა ქიმიურად მოდიფიცირებულისა	-	"სახამებელი"
გ)	თევზის ყველა სახეობა, როდესაც თევზი სურსათის ინგრედიენტია და სურსათის ეტიკეტზე არ არის მითითებული თევზის კონკრეტული სახეობა	-	"თევზი"
დ)	ნებისმიერი ფრინველის ხორცი, როდესაც ხორცი სურსათის ინგრედიენტია და სურსათის ეტიკეტზე არ არის მითითებული მისი კონკრეტული სახეობა	-	"ფრინველის ხორცი"
ე)	ყველი, ან ყველის სხვადასხვა ნაზავი როდესაც ყველი სურსათის ინგრედიენტია და სურსათის ეტიკეტზე არ არის მითითებული მისი კონკრეტული სახეობა	-	"ყველი"
ვ)	სანელებლები და მათი ექსტრაქტები, რომელთა შემცველობა არ აღემატება სურსათის მასის 2%-ს	-	"სანელებლები" ან "შერეული სანელებლები"
ზ)	ყველანაირი მწვანილი, რომელთა შემცველობა არ აღემატება სურსათის მასის 2%-ს	-	"მწვანილი" ან "შერეული მწვანილი"
თ)	ყველა სახის საქარიხნა	-	"შაქარი"
ი)	გაუწყლოებული დექსტროზა და გლუკოზის მონოჰიდრატი	-	"დექსტროზა" და "გლუკოზა"
კ)	ყველა ტიპის სალეკი სუბსტანცია, ცვილი, რომელიც გამოიყენება სალეკი რეზინის წარმოებისთვის	-	"სალეკი სუბსტრატი"
ლ)	რძის ცილები (კაზეინატები)	-	"კაზეინატები"
მ)	კაკაოს მარცვლებისგან მიღებული დაწნეხილი და რაფინირებული ცხიმი	-	"კაკაოს ცხიმი"
ნ)	დაშაქრული ხილი, რომლის მასა სურსათში არ აღემატება 10%-ს	-	"დაშაქრული ხილი" ("ცუკატები")

რაოდენობრივი წარდგენა

პროდუქციის ნეტო მასის აღნიშვნა:

- მყარი კონსისტენციის სურსათისთვის - კილოგრამებში ან გრამებში;
- თხევადი სურსათისთვის - ლიტრებში ან მილილიტრებში;
- ბლანტი ან ნახევრად მყარი კონსისტენციის სურსათისთვის - მასის ან მოცულობის მიხედვით

რაოდენობრივი წარდგენა

- თუ სურსათი წარმოდგენილია ორი ან მეტი შეფუთული ერთეულით და შეფუთვები არ არის განკუთვნილი ცალ-ცალკე რეალიზაციისათვის - ეტიკეტზე უნდა მიეთითოს შეფუთული ერთეულის რაოდენობა და თითოეულის მასა სურსათის მთლიან მასასთან ერთად

- თუ ძირითადი სურსათი მოთავსებულია თხევად მოცულობაში - საერთო მასასთან ერთად ეტიკეტზე უნდა მიეთითოს ძირითადი სურსათის მასა მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით (იგივე მოთხოვნები გაყინულ მდგომარეობაში მყოფ ანალოგიურ სურსათზე)

რაოდენობრივი წარდგენა

- თუ სურსათი ხილის, ბოსტნეულის, სანელებლების, სოკოების სხვადასხვა პროპორციის ნარევს წარმოადგენს, “შემადგენლობაში” ინგრედიენტების ჩამონათვალში ისინი უნდა დაჯგუფდეს ერთად, დასახელებით “ხილი”, “ბოსტნეული”, “სოკოები”, “სანელებლები” თანდართული ფრაზით - “ცვალებადი პროპორციით”, საერთო წონის მითითებით

- ეტიკეტზე სავალდებულოა სურსათის წარმოშობის ქვეყნის აღნიშნვა, ასევე, მწარმოებლის, დამფასოებლის, დისტრიბუტორის, იმპორტიორის ან ექსპორტიორის დასახელების, მისამართის, პარტიის აღნიშნვა

თარიღის აღნიშვნა და ინსტრუქციები

- სავალდებულოა დამზადების თარიღის აღნიშვნა (რიცხვი, თვე და წელი), განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტებისათვის - ასევე საათის აღნიშვნა

განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათი - პროდუქტები, მათ შორის ხორცის, რძის, თევზის, ბოსტნეულის პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი, რომელთა შენახვის ვადა არ აღემატება 72 სთ-ს, არაუმეტეს 6^0 C ტემპერატურის პირობებში

თარიღის აღნიშვნა და ინსტრუქციები

- დღე, თვე და წელი მოცემული უნდა იქნეს ციფრული თანმიმდევრობით, დასაშვებია თვის აღნიშნვა სიტყვით;

- დამზადების თარიღი და შენახვის ვადა მითითებული უნდა იქნეს ან უშუალოდ ეტიკეტზე ან ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მისი განთავსების ადგილის შესახებ;

- ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს "შენახვის ვადა"

შენახვის ვადა - დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სურსათის ცალკეული სახეობისათვის წინასწარ დადგენილი შენახვის პირობების დაცვისას, იგი ვარგისია რეალიზაციისა და მოხმარებისათვის

თარიღის აღნიშვნა და ინსტრუქციები

- სურსათისათვის, რომელთა შენახვის ვადა არ აღემატება 3 თვეს, მითითებული უნდა იქნეს დღე და თვე და აღინიშნოს სიტყვებით - “ვარგისია... მდე”;

- შენახვის ვადის მითითება არ არის სავალდებულო ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის, რომელიც არ არის გათლილი, დაჭრილი, სასმელებისთვის, რომლებიც შეიცავენ ალკოჰოლს 10%-ზე მეტი მოცულობით, პურფუნთუშეულისა და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმისათვის, რომელთა მოხმარება ხდება გამოცხობიდან 24 საათის განმავლობაში, ძმრისთვის, შაქრისთვის, არომატიზებული ან/და შეფერილი შაქრებით დამზადებული საკონდიტრო ნაწარმისათვის, თაფლისთვის და საღეჭი რეზინისთვის

თარიღის აღნიშვნა და ინსტრუქციები

- იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათის შენახვის ვადა დამოკიდებულია შენახვის პირობებზე, სავალდებლოა ეტიკეტზე ამ პირობების მითითებაც;

- ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელია ეტიკეტზე გამოყენების წესის განთავსება

კვებითი ღირებულების აღნიშვნა

- ეტიკეტზე ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების რაოდენობრივი შემცველობისა და ენერგეტიკული ღირებულების შესახებ ინფორმაციის განთავსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც **რეკომენდირებულ სადღეღამისო ნორმაში ან 100 გ ან 100 მლ სურსათში მათი შემცველობა 2%-ზე მეტია;**

- ეტიკეტზე ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის განთავსება სავალდებულოა იმ შემთხვევაში როდესაც **რეკომენდებულ სადღეღამისო ნორმაში ან 100 გ ან 100 მლ სურსათში მათი შემცველობა 5%-ზე მეტია. ეს ინფორმაცია სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები დამატებულია წარმოების პროცესში.**

კვებითი ღირებულების აღნიშვნა

სურსათის კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის განთავსებისას შესაძლებელია საკვები ნივთიერებების შემდეგი ეტალონური სიდიდეების გამოყენება:

N	საკვები ნივთიერებები	წონითი ერთეული	ეტალონური სიდიდეები
ა)	ცილა	გრამი (გ)	50
ბ)	ვიტამინი A	მიკროგრამი (მკგ)	800
გ)	ვიტამინი D	მიკროგრამი (მკგ)	5
დ)	ვიტამინი C	მილიგრამი (მგ)	60
ე)	ვიტამინი B6	მილიგრამი (მგ)	2
ვ)	ვიტამინი B12	მიკროგრამი (მკგ)	1
ზ)	ვიტამინი B1	მილიგრამი (მგ)	1,4
თ)	ვიტამინი B2	მილიგრამი (მგ)	1,6
ი)	ვიტამინი PP	მილიგრამი (მგ)	18
კ)	ფოლიუმის მჟავა	მიკროგრამი (მკგ)	200
ლ)	კალციუმი	მილიგრამი (MმგG)	800
მ)	მაგნიუმი	მილიგრამი (MმგG)	300
ნ)	რკინა	მილიგრამი (MმგG)	14
ო)	თუთია	მილიგრამი (MმგG)	15
პ)	იოდი	მიკროგრამი (მკგ)	150

კვებითი ღირებულების აღნიშვნა

- ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ უნდა მითითებული იქნეს 100 გ (100 მლ) სურსათისათვის, ან ერთი ულუფისათვის, ულუფის ოდენობის ჩვენებით;

- ინფორმაცია ენერგეტიკული ღირებულების შესახებ გამოსახული უნდა იქნეს კილოკალორიებში (კკალ) ან კილოჯოულებში (კჯ);

- ნახშირწყლების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ყველა იმ ნახშირწყალს (მათ შორის პოლიოლებს), რომელთა მეტაბოლიზმი ხდება ადამიანის ორგანიზმში

კვებითი ღირებულების აღნიშვნა

- ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების (მათ შორის შაქრების), უჯრედისის, ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების, ნატრიუმის შემცველობას გამოსახავენ გრამებში; ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს საერთაშორისო სისტემის ერთეულებში, ან საერთაშორისო ერთეულებში;

- დასაშვებია კვებითი ღირებულება არ იქნეს მითითებული ჩაის, ყავის, ძმრის, სუფრის მარილის, სუნელების, სანელებლების, საღეჭი რეზინის, საკვებდანამატების, არომატიზატორების, გადაუმუშავებელი სურსათის (თევზი, ხორცი, სოკო, ბოსტნეული, ხილი) ეტიკეტზე.

ინფორმაცია სურსათის სპეციფიურ თვისებებზე

- დაუშვებელია ეტიკეტზე ინფორმაციის განთავსება, რომელშიც მითითებულია, რომ აღნიშნული სურსათი შეიცავს შეუცვლელ საკვებ ნივთიერებებს **(გამონაკლისი ფორტიფიცირებული სურსათი);**
- დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის განთავსება, რომელიც მომხმარებლისათვის საეჭვოს ხდის სხვა ანალოგიური სურსათის მოხმარებას;
- დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის განთავსება, რომელშიც გამოყენებულია აღმატებითი და შედარებითი ტერმინები;
- რელიგიური წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, ნებადართულია შესაბამისი ინფორმაციის განთავსება

ინფორმაცია სურსათის სპეციფიურ თვისებებზე

- სურსათში ცილების, ცხიმების ნახშირწყლების, ვიტამინების და მინერალური ნივთიერებების შემცველობის შესახებ ინფორმაცია, “არ შეიცავს”, “დაბალი”, “დაბალი შემცველობა”, “მაღალი”, “მაღალი შემცველობა”, რაიმე ნივთიერების “წყარო” გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური ცხრილის შესაბამისად:

N	კვებითი ფაქტორი	ინფორმაცია	რაოდენობა არა უმეტეს
ა)	ენერგეტიკული ღირებულება	დაბალი	40 კკალ 100 გ მყარ სურსათში, ან/და 20 კკალ 100 მლ სითხეში
ბ)	ენერგეტიკული ღირებულება	ენერგეტიკული ღირებულების გარეშე	4 კკალ 100 მლ (სითხეებისათვის)
გ)	ცხიმი	დაბალი შემცველობა	3 გ 100 გ მყარ სურსათში, ან/და 1,5 გ 100 მლ სითხეში
დ)	ცხიმი	ცხიმის გარეშე	0,5გ 100 გ მყარ სურსათში, ან/და 100 მლ სითხეში
ე)	ნაჯერი ცხიმები	დაბალი ან დაბალი შემცველობა	1,5გ 100 გ მყარ სურსათში 0,75 გ 100 მლ სითხეში, რომელიც უზრუველყოფს ენერგეტიკული ღირებულების 10%
ვ)	ნაჯერი ცხიმები	არ შეიცავს	0,1 გ 100 გ მყარ სურსათში, ან/და 0,1 გ 100 მ სითხეში
ზ)	ქოლესტერინი	დაბალი ან დაბალი შემცველობა	0,02 გ 100 გ მყარ სურსათში, ან/და 0,01 გ 100 მლ სითხეში
თ)	ქოლესტერინი	ქოლესტერინის გარეშე	0,005 გ 100 გ მყარ სურსათში, 0,005 გ 100 მლ სითხისათვის, ამასთანავე 1,5 გ-ზე ნაკლები ნაჯერი ცხიმი 100გ მყარ სურსათში, 0,75 გ ნაჯერი ცხიმი 100 მლ სითხეში, ნაჯერი ცხიმების ხარჯზე უზრუველყოფილია ენერგეტიკული ღირებულების 10%
ი)	შაქრები	შაქრების გარეშე ან არ შეიცავს	0,5 გ 100 გ მყარ სურსათში ან/და 0,5 გ 100 მლ სითხეში
კ)	ნატრიუმი	დაბალი ძალიან დაბალი ნატრიუმის გარეშე	0,12 გ 100 გ-ში 0,04 გ 100 გ-ში 0,005 გ 100 გ-ში
ლ)	ცილები	"წყარო"	100 გ მყარ სურსათის სადღეღამისო რეკომენდირებული ნორმის 10%, ან/და 100 მლ სითხის სადღეღამისო რეკომენდირებული ნორმის არანაკლებ 5%, ან/და რეკომენდირებული სადღეღამისო ნორმის კვებითი ღირებულების არანაკლებ 5% 100 კკალ-ზე გადაანგარიშებით ან/და რეკომენდირებული სადღეღამისო ნორმის კვებითი ღირებულების არანაკლებ 10% ერთ ულუფაზე გადაანგარიშებით
მ)	ცილები	მაღალი შემცველობა	"წყაროს" სიდიდეზე ორჯერ მეტი
ნ)	ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები	"წყარო"	100 გ მყარ სურსათის სადღეღამისო რეკომენდირებული ნორმის 15% ან/და 100 მლ სითხის სადღეღამისო რეკომენდირებული

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის
2007 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება N 300/ნ

“სურსათის ფორტიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის
დამტკიცების შესახებ”

- ფორტიფიცირებული სასურსათო პროდუქტები - მიკროელემენტებით და ვიტამინებით გამდიდრებული სურსათი, რომელიც გამოიყენება მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისათვის;

- სურსათის ფორტიფიცირებისათვის ისეთი ვიტამინების და მინერალური ნივთიერებების გამოყენება, რომელთა დეფიციტი მოსახლეობის კვების რაციონში დადასტურებულია კლინიკური გამოკვლევებით;

- **საკვებ პროდუქტებსა და ნედლეულზე დამატებული ფორტიფიკანტების რაოდენობის შესაბამისობა დადგენილ ნორმებთან და ინფორმაციის ასახვა მარკირებასა და შეფუთვაზე**

(მუხლები 2 და 3)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის ბრძანება #2-231 “სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”

ეტიკეტირება სუსრათის გარკვეული ჯგეფებისთვის

დასხივებული სურსათი

- სურსათი, რომელმაც განიცადა მაიონიზირებელი რადიაციის ზემოქმედება, უნდა შეიცავდეს წერილობით განაცხადს აღნიშნულის შესახებ (სურსათის დასახელებასთან ახლოს განთავსება);
- თუ დასხივებულია ინგრედიენტი - აღნიშვნა ინგრედიენტების ჩამონათვალში;
- შესაბამისი სიმბოლოს გამოყენების შესაძლებლობა

ეტიკიტირება სურსათის გარკვეული ჯგეფებისთვის

გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათი

- ეტიკეტზე სავალდებულო აღნიშვნა, თუ სურსათის შემადგენლობაში გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები სურსათის საერთო მასის 0,9% - ზე მეტია;
- შესაბამისი "გმო"-ს შემცველი ინგრედიენტთან აღნიშვნა;
- "გმო"-ს შემცველ მცირე ზომის დაფასოებულ სურსათზე, რომლის ზედაპირის ფართობი 10 სმ^2-ზე ნაკლებია, შესაბამისი აღნიშვნის აუცილებლობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 154³. სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევა

1. სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევა -
გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, -
გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

(154³ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირი. მუხ. 239.49.

ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში

საქართველოს კანონი
სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ
(მუხლი 2)

- ა[1]) ბიოპროდუქტი - სურსათი ან საკვები, მათ შორის, სურსათის ან საკვების სახით გამოყენებული საფუარი, რომლის წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის, შენახვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის წესები შეესაბამება ბიოწარმოების განხორციელებისა და სერტიფიცირების წესებს და რომლის ეტიკეტზე არის შესაბამისობის დამადასტურებელი ხარისხის ნიშანი და წარწერა. ბიოპროდუქტად არ ითვლება ნადირობით ან თევზჭერით მოპოვებული გარეული ცხოველი;

- a^2) ბიოწარმოება - სოფლის მეურნეობის პროდუქტის (სურსათის ან საკვების) წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სისტემა, რომელიც იმართება ბიოწარმოების განხორციელების წესების შესაბამისად და უზრუნველყოფს განსაზღვრული ხარისხის პროდუქტის - ბიოპროდუქტის წარმოებას. ეს სისტემა არის ბიოლოგიური, კულტურული და მექანიკური მეთოდების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას;

მუხლი 12[1]. ბიოწარმოების სერტიფიცირება და ეტიკეტირება

1. ბიოწარმოების სერტიფიცირებას ახორციელებს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანო. შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს განაცხადი, განახორციელოს სერტიფიცირება და გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი. დასაშვებია საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის არსებობაც.

2. პროდუქტი შეიძლება იყოს ნიშანდებული (ეტიკეტირებული), როგორც ბიოპროდუქტი, მხოლოდ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე;

3. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ახორციელებს ბიომეწარმის მიერ ბიოწარმოების განხორციელების წესების დაცვის მონიტორინგს და სერტიფიკატს გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიოპროდუქტის წარმოების პირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და სათანადო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ბიოსერტიფიკატის არმქონე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ეტიკეტზე ისეთი წარწერის გაკეთება (მათ შორის, სიტყვათა - „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“ - ნებისმიერი კომბინაცია), რომელიც მომხმარებელს აფიქრებინებს, რომ პროდუქტი წარმოებულია ბიოწარმოების სტანდარტების შესაბამისად, არის ფალსიფიკაცია; **(იმ პირთათვის, ვინც ამ პუნქთით გათვალისწინებულ პროდუქტს აწარმოებდა 2007 წლის 1 ოქტომბრამდე, ამ პუნქტის მოქმედება შეჩერდება 2012 წლის 31 დეკემბრამდე).**

5. ბიოწარმოების განხორციელებისა და სერტიფიცირების წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით

ასევე:

- სურსათის უვნებლობის ეროვნული სამსახურის ახალი სახელი და სტატუსი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი სურსათის სააგენტო (მუხლები 28-30);

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილების დაფიქსირება (მუხლები 20 და 25);

- კანონის ზოგიერთი დებულებების ამოქმედების შეცვლილი თარიღები

ვადები:

რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში:

- სურსათის მწარმოებელი საწარმოებისთვის ან/და დისტრიბუტორებისთვის - **2010 წლის 30 იანვრიდან;**
- ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისთვის - **2011 წლის 3 იანვრიდან**

ვადები:

მიკვლევადობისა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემების დანერგვა, გარდა პირველადი წარმოებისა, მცირე და გლეხური/ფერმერული/კუსტარული წარმოებისა, ხორციელდება:

- ევროკავშირში ექსპორტიორ სურსათის მწარმოებელ საწარმოებში - 2010 წლის 1 ივლისიდან;
- მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელ საწარმოებში, გარდა ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა, - 2013 წლის 1 იანვრიდან;
- ყველა სხვა სურსათის მწარმოებელ საწარმოში - 2015 წლის 1 იანვრიდან;
- ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოებში - 2017 წლის 1 იანვრიდან

2011 წლის 3 იანვრიდან

ვადები:

~~ინსპექტირება, გარდა პირველადი წარმოებისა, მცირე და გლეხური/ფერმერული/კუსტარული წარმოებისა იწყება:~~

- ~~ევროკავშირში ექსპორტიორ სურსათის მწარმოებელ საწარმოებში - 2010 წლის 1 ივლისიდან;~~
- ~~მაღალი რისკის სურსათის მწარმოებელ საწარმოებში, გარდა ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოებისა, - 2013 წლის 1 იანვრიდან;~~
- ~~ყველა სხვა სურსათის მწარმოებელ საწარმოში - 2015 წლის 1 იანვრიდან;~~
- ~~ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოებში - 2017 წლის 1 იანვრიდან~~

2011 წლის 3 იანვრიდან

ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში

საქართველოს კანონი
სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ
(მუხლი 5.1 “კ”)

- ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

- **მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამეწარმეო საქმიანობა (მათ შორის, შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. (მუხლი 3.2)**

ასევე საკანონმდებლო ცვლილებები და სიახლეები:

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილება „სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის №111 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №426 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №427 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №428 საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №429 ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერი დადგენილება №430 ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ბორის ჯანჯალია

bjanjalia@ifc.org

(+995 99) 98 03 99 (მობილური)

(+995 32) 23 43 00 (*2154) (სამსახური)